საქართველოს კანონი

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №40, 18.07.2005, მუხ. 264) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ღ“ ქვეპუნქტი:

„ღ) ელექტრონული კომუნიკაციების გადაჭერის სისტემა:

ღ.ა) კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის შემადგენელი პროგრამული ან/და აპარატული კომპონენტი („ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ[69]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილი ორგანოს მონიტორინგის სისტემა);

ღ.ბ) კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის ფარული მოპოვების მიზნით შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალება;

ღ.გ) GSM-ის პასიური გადაჭერის სისტემა.“.

2. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 12^1 პუნქტი:

„12^1. ელექტრონული კომუნიკაციების გადაჭერის სისტემების დამზადების, იმპორტის ან ექსპორტის ლიცენზია.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 30 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

22 მარტი 2017 წ.

N486-IIს